საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000041260305819

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **23** **01 / მაისი / 2019 წ.**

განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალების ვაზ 21213-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცებისა და უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“24-ე მუხლის, პირველი პუნქტის „ე. გ“ და „ე. დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების, 35-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების, შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, **საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში,** ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, სატრანსპორტო საშუალება ვაზ 21213, გამოშვების წელი 2004, სახელმწიფო სერია და ნომერი WKW 252. ძრავის N 7809157.

2. დამტკიცდეს:

   სატრანსპორტო საშუალების ვაზ 21213, (გამოშვების წელი 2004, სახელმწიფო სერია და ნომერი WKW 252. ძრავის N 7809157. სარეგისტრაციო მოწმობა RV0137560. გადაცემათა კოლოფი მექანიკური) - საწყისი საპრივატიზებო საფასური - **2186 (ორიათას ას ოთხმოცდაექვსი)** ლარით.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი